**განმარტებითი ბარათი**
**საქართველოს კანონის პროექტზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი**

კანონპროექტის მიღების მიზეზია საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის/პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე უსდ მართვის ორგანოების საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობისა და სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების მოქმედი სისტემები და პრაქტიკა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით სრულად ვერ უზრუნველყოფს:

ა) სტუდენტების თანასწორი მონაწილეობის/არჩევის უფლებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მართვის პროცესებში;

ბ) სტუდენტების თანასწორ შესაძლებლობებს ინდივიდუალური ან/და ერთობლივი სტუდენტური ინიციატების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობის პროცესებში.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიღების მიზანია საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის/პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მართვის ორგანოების საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის სისტემის დახვეწა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კანონპროექტის მიღება საშუალებას მისცემს საქართველოს მასშტაბით უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის ყველა სტუდენტს:

ა) თანასწორობის პრინციპის დაცვით მონაწილეობა მიიღონ როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის), ასევე ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტატური) საბჭოს საქმიანობაში, კერძოდ იყვნენ არჩეული საყოველთაო, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, პირდაპირი წესით;

ბ) ჰქონდეთ თანაბარი წვდომა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებზე ინდივიდუალური ან/და ერთობლივი სტუდენტური ინიციატების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, რომელთა მიზანი არის სტუდენტთა უფლებების დაცვა და პრიორიტეტული საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშეწყობა.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

<u>კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებათა 4 ძირითად ბლოკს,</u> რომლებიც უფრო ეფექტურად დაიცავს სტუდენტთა უფლებებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და

ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მართვის ორგანოებში თანაბარი მონაწილეობისა და სტუდენტური ინიციატივების ხელშესაწყობად.

**კანონპროექტის მიხედვით ცვლილებათა 1-ლი ბლოკის მიზანია ყველა სტუდენტს მიენიჭოს უფლება პირდაპირი წესით იქნეს არჩეული არამხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში), არამედ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტატურ) საბჭოშიც.**

ამასთანავე აღნიშნული ცვლილებით:

- წესრიგდება წარმომადგენლობით საბჭოსა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრი სტუდენტებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში შუალედური არჩევნების წესი.

- განისაზღვრება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში სტუდენტთა რაოდენობის მინიმალური ზღვარი (საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეოთხედისა).

- განისაზღვრება სტუდენტთა თანასწორი მონაწილეობის უფლება აკადემიური საბჭოს წევრების არჩევის პროცესში.

- წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით მოქმედი კანონის მე-17 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი. 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 43-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, ხოლო მე-17 მუხლს ემატება $4^1$ პუნქტი, 27-ე მუხლს ემატება მე-4 პუნქტი და 43-ე მუხლის,,ე“ ქვეპუნქტს ემატება $ე^1$ პუნქტი.

**ცვლილებების მეორე ბლოკის მიხედვით უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის ყველა სტუდენტს - ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის - მიეცემა უფლება არჩეულ იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) საბჭოში პროპორციული გადანაწილების წესით (მაგრამ არანაკლებ ერთი წარმომადგენლისა).**

- მაგალითისთვის: თუ მიმდინარე სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეგისტრირებული 1000 სტუდენტიდან 900 ბაკალავრიატის საფეხურზეა, 80 მაგისტრატურის და 20 დოქტორანტურის, წარმომადგენლობითი საბჭოს 7 წევრიდან 90% აირჩევა ბაკალავრის სტუდენტებიდან, 8% მაგისტრანტებიდან, ხოლო 2% დოქტორანტებს შორის. რამდენადაც წარმომადგენლობითი საბჭოს 7 წევრიდან 8% და 2% ნაკლებია 1-ზე, შესაბამისად, სულ მცირე 1 წევრის არჩევა უნდა იყოს გარანტირებული მაგისტრანტებიდან, 1 დოქტორანტებს შორის და დარჩენილი 5 კვოტა გადანაწილდეს ბაკალავრიატის სტუდენტებზე. რამდენადაც მონაწილეობა და არჩევა ნებაყოფლობითია, თუკი მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შორის არჩევნებში მონაწილეობის სურვილს არც ერთი სტუდენტი არ გამოთქვამს, შესაბამისი კვოტაც გადანაწილდება პროპორციულად.

- წარმომადგენლობით საბჭოში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება განხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ. უცვლელი რჩება ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს; ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს როგორც სტუდენტი.

- წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით მოქმედი კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი და 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით.

**ცვლილებების მესამე ბლოკის მიხედვით ყველა სტუდენტს მიენიჭება უფლება თანაბარი წვდომა ჰქონდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებზე ინდივიდუალური ან/და ერთობლივი სტუდენტური ინიციატივების განხორციელების მიზნით.**

- აღნიშნული სტუდენტური ინიციატივების მიზანი უნდა იყოს სტუდენტთა უფლებების დაცვა და დაწესებულებისა და სტუდენტთა წარმომადგენლების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშეწყობა.

- უსდ დაევალება სტუდენტური ინიციატივების განხილვის, დამტკიცებისა და დაფინანსების გამჭირვალე მექანიზმის შექმნა საბჭოს/კომისიის სახით, რომელიც კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით მიიღებს გადაწყვეტილებებს.

- წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით მოქმედი კანონის 43-ე მუხლის პირველ პუნქტს ემატება $გ^1$ და $გ^2$ ქვეპუნქტები.

**ცვლილებების მეოთხე ბლოკით სტუდენტთა მთავარი წარმომადგენლობითი გაერთიანებების ალტერნატივების ზოგადი დეფინიციები, მიზნები და არჩევის წესი, რომელთა დეტალური განსაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე უნდა მოხდეს.** კერძოდ:

- შემოთავაზებულია სტუდენტთა მთავარი (უნივერსიტეტის დონეზე მხოლოდ ერთი) წარმომადგენლობითი გაერთიანებების შესაძლო სახეები: სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტური ასამბლეა, სტუდენტური საბჭო, სტუდენტური კლუბი და სხვა.

- სტუდენტთა მთავარი წარმომადგენლობითი გაერთიანებების არჩევაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მოქმედი სტუდენტების არანაკლებ 10%-ისა.

- სტუდენტთა წარმომადგენლობის სისტემა აერთიანებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიხედვით სტუდენტების მიერ არჩეულ სტუდენტთა წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოადგენენ და იცავენ შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის სტუდენტების ინტერესებსა და უფლებებს.

- კანონპროექტით გათვალისწინებულია მოქმედი კანონის 45-ე მუხლის შეცვლა. კერძოდ: ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს უფლება აქვთ ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე აირჩიონ სტუდენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე სტუდენტების მთავარი წარმომადგენლობითი გაერთიანების წევრებად (სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტური კლუბი, სტუდენტური ასამბლეა, სტუდენტური საბჭო).

- სტუდენტების მთავარი წარმომადგენლობითი გაერთიანება თავისი დებულების შესაბამისად ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე სტუდენტთა უფლებების დაცვას; უფლებამოსილი იქნება შეიმუშაოს წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს; განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებები, რომელიც ხელს შეუწყობს უსგ დონეზე სტუდენტების უფლებების დაცვას.

- წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით მოქმედი კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტს ემატება ,,ე[1]“ და ,,ე[2]“ ქვე-პუნქტები და 45-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით.

<u>კანონპროექტის შემუშავების პროცესში განხილული იქნა 20 ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ეროვნული და მუნიციპალური კანონმდებლობებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე მოქმედი რეგულაციები,</u> რომელიც აწესრიგებს (ა) სტუდენტთა ჩართულობის/არჩევის წესს უსდ მართვის ორგანოების საქმიანობაში; (ბ) სტუდენტური ინიციატივებისა და სტუდენტური გაერთიანებების დაფინანსების წესებს, და (გ) სტუდენტური თვითმმართველობებისა და სტუდენტური გაერთიანებების დებულებებს. შესწავლილ ქვეყნებში უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ეხება როგორც საჯარო ასევე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს - გამონაკლისების გარეშე.

(ა) სტუდენტთა ჩართულობის წესების მიმოხილვა უსდ მართვის ორგანოების საქმიანობაში

- **ევროკავშირის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნების საკითხი რეგულირდება არა ეროვნული კანონმდებლობის, არამედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე.** მაგალითად, <u>კემბრიჯის უნივერსიტეტში</u> (დიდი ბრიტანეთი) სტუდენტები <u>ყოველწლიურად</u> ირჩევენ წარმომადგენლებს <u>ფაკულტატურ საბჭოსა და სტუდენტურ ფორუმში</u> პირდაპირი წესით. <u>გრონინგენის უნივერსიტეტში</u> (ნიდერლანდები) სტუდენტთა წარმომადგენლები <u>ფაკულტეტის საბჭოში</u> ირჩევიან პირდაპირი წესით ერთი წლის ვადით და სტუდენტთა წარმომადგენლობა ფაკულტეტის საბჭოებში ძირითადად შეადგენს <u>50%-ს.</u> აშშ უმაღლესი განათლების რეგულაციები ძირითადად შტატების კომპეტენციაა, ხოლო სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე.

- **ეროვნული კანონმდებლობის დონეზე სტუდენტთა წარმომადგენლობის საკითხები რეგულირდება ძირითადად პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში და კანონში არსებული ჩანაწერები საკმაოდ ზოგადია.** ნორვეგიის, მონტენეგროს და სერბეთის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში სტუდენტების წარმომადგენლობა უნდა იყოს მინიმუმ 20%, ალბანეთში - 15%, ხოლო რუმინეთში - 25%; არჩევნების წესი უშუალოდ უნივერსიტეტის წესდებით წესრიგდება. ლატვიის უმაღლესი განათლების შესახებ კანონით უნივერსიტეტის სენატში, ფაკულტატურ საბჭოებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ საარბიტრაჟო სასამართლოში წევრთა 20%-ს უნდა შეადგენდნენ სტუდენტები, რომლებსაც ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობა. რუმინეთის კანონმდებლობით, სტუდენტთა წარმომადგენლები ირჩევიან დემოკრატიულად, უნივერსალური, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით; ხმის მიცემისა და კენჭის ყრის უფლება აქვს ფაკულტეტის ყველა სტუდენტს. ჩეხეთის კანონმდებლობით სტუდენტს აქვს უფლება აირჩიოს წარმომადგენლები სენატში ან წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით სტუდენტის უფლებამოსილებაა უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში იყოს არჩეული. მაკედონიაში უნივერსიტეტის საბჭო, კანონის მიხედვით, უნდა შედგებოდეს სულ მცირე 11 ადამიანისაგან, მ.შ. 6 წევრს ირჩევს უნივერსიტეტის სენატი, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს სტუდენტი. 6 წევრიდან არცერთი არ უნდა იყოს სენატის შემადგენლობაში. სენატის წევრებს 4 წლის ვადით ირჩევენ, სტუდენტებს მხოლოდ 2 წლის ვადით.

**(ბ) სტუდენტური ინიციატივებისა და სტუდენტური გაერთიანებების დაფინანსების წესების მიმოხილვა**

- **განვითარებულ ქვეყანათა უმრავლესობაში სტუდენტური პროექტების დაფინანსების საკითხები რეგულირდება უმაღლესი საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე.** ბარსელონას უნივერსიტეტში (ესპანეთი) სტუდენტური გაერთიანებები, ე.წ. კულტურული ასოციაციები, რომლებიც წარმართავენ სტუდენტურ ცხოვრებას. ისინი აწარმოებენ ლექციებს, შეხვედრებს, კონფერენციებს, ჟურნალებს სხვადასხვა თემაზე (ადამიანთა უფლებები, გარემოს დაცვა, ეკოლოგია, სიღარიბე და სხვა). ბარსელონას უნივერსიტეტის რესურსზე წვდომა აქვს ნებისმიერ სტუდენტს და არა მხოლოდ ერთი კონკრეტული გაერთიანების წარმომადგენელს. ახალ ზელანდიაში, ოკლენდის უნივერსიტეტში, არის სხვადახვა სახის კლუბები და საზოგადოებები - სპორტთან, კულტურასთან, რელიგიასთან, პოლიტიკასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებული. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ფონდი და წესები, თუ როგორ განიხილება თითოეული ინიციატივა და როგორ მიიღება გადაწყვეტილება.

- **სტუდენტური პროექტების დაფინანსების საკითხები ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება ლიტვასა და პოლონეთში.** პოლონეთში სტუდენტურ თვითმმართველობას გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნივერსიტეტში, იმუშავებს სტუდენტთა ეთიკის კოდექსს და განკარგავს ფინანსებს სტუდენტურ საჭიროებების მიხედვით. უმაღლესმა საგანმანათლებო დაწესებულებამ თავად უნდა იზრუნოს თვითმმართველობისათვის ფინანსების გამოყოფაზე. ლიტვის კანონით სტუდენტთა ინტერესებს მმართველობით ორგანოებში წარმოადგენენ სტუდენტთა წარმომადგენლები, რომლებიც ინიშნებიან სტუდენტთა

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი, სტუდენტთა საერთო კრების მიერ. ლიტვის კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტური თვითმმართველობა არის წარმომადგენლობითი ორგანო უნივერსიტეტში. თავად სტუდენტური თვითმმართველობა ფაკულტეტსა და კურსზე ჩატარებული არჩევნებით ყალიბდება. უნივერსიტეტმა თავად უნდა გამოყოს ფინანსები თვითმმართველობის საქმიანობისათვის. ლიტვაში, უმაღლესი საგანმანათლებლო ერთეული ვალდებულია, უზრუნველყოს ნებისმიერი სტუდენტური ინიციატივის დაფინანსება. ამ ინიციატივებში იგულისხმება სპორტული, კულტურული თუ სხვა საჯარო აქტივობები.

(გ) სტუდენტური თვითმმართველობებისა და გაერთიანებების რეგულაციების მიმოხილვა

- **სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ინსტიტუტი, თითქმის არცერთი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში არ გვხვდება.** კანონი ადგენს ზოგად წესს და მასთან თანხვედრაში უნდა იყოს უნივერსიტეტის შიდა წესდება/დებულება, რომლის მიხედვითაც რეგულირდება საუნივერსიტეტო ცხოვრება და სტუდენტთა ჩართულობა უნივერსიტეტის მართვის პროცესა და სტუდენტურ აქტივობებში.

- **თუმცა შესწავლილი მაგალითებიდან შეგვიძლია განვიხილოთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მაგალითები.** სომხეთის კანონის თანახმად, სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართული სტუდენტურ საბჭოებში, სტუდენტურ სამეცნიერო ასოციაციებსა და სხვა სტუდენტურ გაერთიანებებში, არჩევის წესს კი განსაზღვრავს უშუალოდ უნივერსიტეტი. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან სტუდენტური გაერთიანებები. პოლონეთის და მონტენეგროს კანონებში საუბარი სტუდენტურ პარლამენტზე, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ყველა უნივერსიტეტის სტუდენტურ ორგანიზაციებს აერთიანებს. პოლონეთში კანონის შესაბამისად სტუდენტური თვითმმართველობა აერთიანებს ბაკალავრ-მაგისტრატურას, ხოლო ცალკე თავით რეგულირდება დოქტორანტთა სტუდენტური თვითმმართველობა. ლატვიის უმაღლესი განათლების შესახებ კანონით უნივერსიტეტის სენატში, ფაკულტატურ საბჭოებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ საარბიტრაჟო სასამართლოში წევრთა 20%-ს უნდა შეადგენდნენ სტუდენტები, რომლებსაც ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობა.

- გერმანიაში სტუდენტური თვითმმართველობის საკითხები რეგულირდება ფედერაციული მხარეების დონეზე. ე.წ. „სტუდენტთა ორგანოს“ არჩევნები უნდა ემყარებოდეს თავისუფლების, თანასწორობის, უნივერსალურობისა და ფარულობის პრინციპებს და ნებისმიერ სტუდენტს აქვს როგორც არჩევნებში კენჭის ყრის, ასევე ხმის მიცემის უფლება.

- სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტური კავშირები ძირითადად მორგებულია ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. დიდი ბრიტანეთში (მაგ. კემბრიჯის უნივერსიტეტში) ვხდებით სტუდენტთა ჩართულობის მოხალისეობრივ და ალუმნიურ სისტემას, რომელშიც ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა. აშშ-სა და კანადის წამყვან უნივერსიტეტებში სტუდენტთა ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მათ შორის გარკვეულ სტუდენტურ გაერთიანებაში გაწევრიანება საწევროს მოითხოვს.

იაპონიის უნივერსიტეტებში ვხდებით სტუდენტური გაერთიანებების კლუბურ მოდელს - თავისუფალ გაერთიანებებს სტუდენტთა ინტერესებისა და თემატიკიდან გამომდინარე.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის აუცილებლობას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღებით არ დგინდება ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა
არარეგისტრირებული საზოგადოებრივი კავშირი „აუდიტორია 115“

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

არ არის.

**ე) კანონპროექტის ავტორი**

პარლამენტის წევრი მარიამ ჯაში.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი**

პარლამენტის წევრი მარიამ ჯაში